

ნანა ჯაფარიძე  
ნანი ჭულაია  
მაია წილოსაძე

6

# გათავაზივა

ნაცილი



## მოსწავლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს

## როგორ ვისარგებლოთ წიგნით

წიგნზე მუშაობა რომ გაგიადვილდეს, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, გაგაცნოთ წიგნის აგებულება.

წიგნი შედგება თავებისგან, თითოეული თავი კი – პარაგრაფებისგან. ყოველ თავში მოცემულია ერთი ან ორი „ტესტი თვითშემოწმებისთვის“. ტესტზე მუშაობა დაგეხმარება, შეამონმო, რამდენად კარგად აითვისე განვლილი მასალა, რა გიჭირს, რა საკითხებზე უნდა გაამახვილო ყურადღება. წიგნში ზოგიერთი პარაგრაფის ბოლოს შეხვდები რუბრიკებს:

„პროექტი დამოუკიდებელი კვლევისთვის“ – მის შესასრულებლად დაგჭირდება ინფორმაციის მოძიება (ცნობარებში, სხვადასხვა სახის ლიტერატურაში, ინტერნეტში) და საპრეზენტაციო თემის წარმოდგენა.

„ამოცანა დამოუკიდებელი კვლევისთვის“ – წმინდა მათემატიკური ხასიათისაა. ამ ამოცანების შესასრულებისას გამოიმუშავებ ფიქრის, კვლევის, ლოგიკური აზროვნების, ვარაუდების გამოთქმისა და დასკვნების გამოტანის უნარებს.

„ეს საინტერესოა“ გაგაცნობს საინტერესო ფაქტებსა და თეორიებს მათემატიკის შესახებ.

წიგნში განმარტებები, თვისებები, ფორმულები, ზოგიერთი საჭირო დასკვნა ფერად ფორმზეა მოცემული.

ყოველ პარაგრაფში შეხვდები ამ ნიშნებს:

\* – შედარებით რთული ამოცანა;


? – უმარტივესი კითხვები, რომლებსაც ახალი მასალის ახსნის პროცესში თავად მოსწავლემ უნდა გასცეს პასუხი.

 – წყვილებში სამუშაო

 – პროექტი კვლევისთვის

 – „ვითამაშოთ“

 – რუბრიკა „მოიფიქრე“

 – ტესტი თვითშემოწმებისთვის

 – ჯგუფური მეცადინეობა

 – რუბრიკა „ეს საინტერესოა“

წიგნის ბოლოს მოცემულია საგნობრივი საძიებელი, მათემატიკური ნიშნების ცხრილი და ზომის ერთეულების ჩამონათვალი, ასევე – დამატებითი დავალებები ისტ-ის გამოყენებით და სავარჯიშოების პასუხები.

გაუფრთხილდი წიგნს!

ნუ გააკეთებ მასში ჩანაწერებს!

გისურვებთ წარმატებებს!

# სარჩევი

- გავიმეოროთ V კლასში  
შესწავლილი მასალა ..... 6

## თავი 1

### ათცილადები

- ათწილადი ..... 10
- ათწილადების შედარება ..... 16
- ათწილადების შეკრება ..... 20
- ათწილადების გამოკლება ..... 23
- ათწილადების დამრგვალება ..... 26
- გამრავლება და გაყოფა 10-ზე, 100-ზე, 1000-ზე ..... 29
- ათწილადების გამრავლება ..... 34
- ათწილადის გაყოფა ნატურალურ რიცხვზე ..... 38
- ათწილადზე გაყოფა ..... 41
- მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობა ..... 44
- მრავალწახნაგების შლილები (ჯგუფური მეცადინეობა) ..... 48
- მართკუთხა პარალელეპიპედის ზედაპირის ფართობი (ჯგუფური მეცადინეობა) ..... 51
- ვიანგარიშოთ კალკულატორით ტესტი თვითშემოწმებისთვის ..... 52
- I თავის დამატებითი სავარჯიშოები ..... 54

## თავი 2

### ცილადების შეკრება-გამოკლება

- გამყოფები და ჯერადები ..... 60
- 9-ზე, 3-ზე გაყოფადობის ნიშნები ..... 64
- ნატურალური რიცხვის დაშლა მარტივ მამრავლებად ..... 69

- უდიდესი საერთო გამყოფი ..... 74
- ნატურალური რიცხვების უმცირესი საერთო ჯერადი ..... 78
- ამოვხსნათ ამოცანები ..... 82
- წილადის შეკვეცა ..... 86
- წილადების გაერთმნიშვნელიანება ..... 90
- პრაქტიკული სამუშაო (ჯგუფური მეცადინეობა) ..... 94
- წილადების შეკრება და გამოკლება ..... 95
- წილადის დამატება ერთამდე ..... 98
- შერეული რიცხვების შეკრება და გამოკლება ..... 101
- მონაკვეთების შედარება ..... 105
- ტესილი ..... 107
- წრე, წრენირი (ჯგუფური მეცადინეობა) ..... 110
- ორი წრენირის ურთიერთმდებარეობა ტესტი თვითშემოწმებისთვის ..... 115
- II თავის დამატებითი სავარჯიშოები ..... 116

### ამოცანები მათემატიკის

- მოყვარულთათვის ..... 119
- დავალებები ისტ-ის გამოყენებით ..... 124
- პასუხები ..... 127
- საგნობრივი საძიებელი ..... 130
- ნიგნში გამოყენებული მათემატიკური ნიშნების ცხრილი ..... 130
- ზომის ერთეულები ..... 130
- ძველებური საზომი ერთეულების გამოსახვა მეტრული საზომი ერთეულებით ..... 130

- 1.** შეასრულე მოქმედებები:
    - ა.** 6 195–2 148;
    - ბ.** 6 400 350–5 962 346;
    - გ.** (184 714+156 998)–(52 976–9 524).
- 2.** რამდენით მეტია 50 324-ის და 27 837-ის ჯამი მათსავე სხვაობაზე?
  - 3.** სამი შესაკრების ჯამია 4 276. ერთი შესაკრები გაადიდეს 8738-ით, მეორე შეამცირეს 2 506-ით. როგორ უნდა შეიცვალოს მესამე შესაკრები, რომ ჯამი გახდეს 9 214?
  - 4.** ერთ თაროზე რამდენიმე ნიგნით მეტია, ვიდრე – მეორეზე. როგორ შეიცვლება ეს სხვაობა, თუ პირველი თაროდან მეორეზე გადავიტანთ 10 ნიგნს? თუ მეორე თაროდან პირველზე გადავიტანთ 5 ნიგნს?
  - 5.** მშენებლობაზე 7 დიდი და 4 პატარა მანქანით აგური მიიტანეს. დიდ მანქანაზე იყო 1200 ცალი აგური, პატარაზე კი – 3-ჯერ ნაკლები. სულ რამდენი აგური მიიტანეს მშენებლობაზე?
  - 6.** როგორ შეიცვლება განაყოფი, თუ გამყოფს 3-ჯერ გავზრდით? გასაყოფს 5-ჯერ შევამცირებთ?
  - 7.** გამოჩენილი მათემატიკოსი და ფიზიკოსი ისააკ ნიუტონი 1642 წლის 25 დეკემბერს დაიბადა. მან იცოცხლა 84 წელი, 2 თვე და 23 დღე. როდის გარდაიცვალა ნიუტონი?
  - 8.** რამდენი ფუნთუშა იყიდა ნინიმ საკონდიტროში, თუ ისინი თანაბრად გაანაწილა ოჯახის 7 წევრს შორის და კიდევ 2 ცალი დარჩა?
- |               |               |               |               |
|---------------|---------------|---------------|---------------|
| <b>ა.</b> 17; | <b>ბ.</b> 21; | <b>გ.</b> 16; | <b>დ.</b> 18. |
|---------------|---------------|---------------|---------------|
- 9.** გამოთვალე მარტივი ხერხით:
- |                                           |                                             |
|-------------------------------------------|---------------------------------------------|
| <b>ა.</b> $127 \cdot 31 - 127 \cdot 21$ ; | <b>გ.</b> $117 \cdot 94 - 17 \cdot 94$ ;    |
| <b>ბ.</b> $21 \cdot 121 + 29 \cdot 121$ ; | <b>დ.</b> $231 \cdot 123 - 221 \cdot 123$ . |
- 10.** რიცხვი ჯერ შეამცირეს 4-ჯერ, შემდეგ – 2-ჯერ, შემდეგ კი – 3-ჯერ და მიიღეს 15. იპოვე ეს რიცხვი.
- |                |                |                |                |
|----------------|----------------|----------------|----------------|
| <b>ა.</b> 180; | <b>ბ.</b> 305; | <b>გ.</b> 360; | <b>დ.</b> 320. |
|----------------|----------------|----------------|----------------|
- 11.** ვიცით, რომ  $254 \cdot 337 \cdot 234$  ნამრავლის მნიშვნელობა ქვემოთ მოცემული რიცხვებიდან ერთ-ერთის ჭოლია. გამრავლების გარეშე იპოვე ეს რიცხვი.
- |                     |                     |                    |                    |
|---------------------|---------------------|--------------------|--------------------|
| <b>ა.</b> 23474213; | <b>ბ.</b> 20029932; | <b>გ.</b> 1348746; | <b>დ.</b> 2003454. |
|---------------------|---------------------|--------------------|--------------------|
- 12.** დათომ 144 ლარიდან ნახევარი დედას მისცა, დარჩენილის ნახევარი კი – ძმას. რამდენი ლარი დარჩა დათოს?
  - 13.** საკონრდინატო სხივზე აღებულია A(104) წერტილი. თუ B წერტილი AO-ს შუანერტილია (O სხივის სათავეა), ხოლო C წერტილი OB-ს შუა წერტილია, მაშინ C წერტილის კოორდინატია:
- |               |               |               |               |
|---------------|---------------|---------------|---------------|
| <b>ა.</b> 26; | <b>ბ.</b> 24; | <b>გ.</b> 30; | <b>დ.</b> 10. |
|---------------|---------------|---------------|---------------|



ისააკ ნიუტონი

**14\*. როგორ შეიცვლება ნამრავლი, თუ:**

- ა. ერთ თანამამრავლს გავზრდით მისი  $\frac{1}{3}$ -ით?
- ბ. ერთ თანამამრავლს გავზრდით მისი  $\frac{1}{3}$ -ით და მეორეს შევამცირებთ მისივე  $\frac{1}{3}$ -ით?

**15. იპოვე ა ნატურალური რიცხვის ყველა ის მნიშვნელობა, თუ:**

- ა.  $\frac{a}{6}$  წესიერი წილადია;
- ბ.  $\frac{12}{a}$  არაწესიერი წილადია;
- გ.  $\frac{a}{5}$  მოთავსებულია  $\frac{1}{5}$ -სა და  $\frac{4}{5}$ -ს შორის.

**16. აუზი მილით 8 სთ-ში ივსება. აუზის რა ნაწილი აივსება, თუ მილს გავხსნით:**

- ა. 1 სთ-ით;
- ბ. 2 სთ-ით;
- გ. 5 სთ-ით.

**17. თუ წრის ფართობია  $24 \text{ м}^2$ , მისი  $\frac{1}{6}$  ნაწილის ფართობი იქნება:**

- ა.  $\frac{1}{4}$ ?
- ბ.  $\frac{1}{8}$ ?

**18. ხუთმა კრუხმა წიწილები გამოჩეკა. პირველმა – 20, მეორემ – 16, მესამემ – 24, მეოთხემ – 12, მეხუთემ კი – 8. ააგე შესაბამისი პიქტოგრამა და გამოსახე მასზე გამოჩეკილი წიწილების რაოდენობები.**

**19. მუზეუმის ბილეთი უფროსისთვის ორჯერ უფრო ძვირია ბავშვის ბილეთზე. რა ღირს ბილეთები, თუ ჯგუფმა, რომელშიც 6 უფროსი და 24 ბავშვი იყო, გადაიხადა 18 ლარი?**


**20. ტემპერატურა საღამოს 6 საათიდან 12 სთ-მდე ყოველ საათში  $1^\circ$ -ით იკლებს. შეადგინე წერტილოვანი დიაგრამა. რა პირობა აკლია ამოცანას?**

**21\*. დაჩიმ გადაწყვიტა, ყულაბაში შეგროვებულ თანხას ყოველდღე დაამატოს 20 თეთრი. რამდენით მოიმატებს დაჩის თანხა 1 თვეში, რამდენი გახდება ეს თანხა? რა პირობები აკლია ამოცანას? დაუმატე პირობები და ამოხსენი.**


**22. შეასრულე მოქმედებები:**

- |                               |                                      |
|-------------------------------|--------------------------------------|
| ა. $75000 - 54207 + 9207$ ;   | გ. $33030 - (24608 + 6792)$ ;        |
| ბ. $8672 + 91526 + 765$ ;     | გ. $90000 - (81932 - 7969) + 3865$ ; |
| გ. $27456 - 9687 - 536$ ;     | გ. $(4398 + 8645) - (6701 - 896)$ ;  |
| დ. $345008 + 3695 - 295403$ ; | თ. $5864 - 4295 - (832 - 743)$ .     |

**23. ორი ტოლი კვადრატი ერთმანეთს კვეთს. გადაკვეთის წერტილები გვერდების შუა წერტილებია. იპოვე თითოეული კვადრატის ფართობი, თუ გაფერადებულის ფართობი  $16 \text{ м}^2$ -ია.**



- 24.** ოქრომჭედელს გადასაბმელად მიუტანეს 5 ნაწილად გაწყვეტილი ჯაჭვი. თითოში 3 რგოლია. იმისათვის, რომ ოქრომჭედელმა გადააბას ჯაჭვის ნაწილები, საჭიროა რგოლის გაჭრა და მერე შედუღება. როგორ უნდა შეაკეთოს ოქრომჭედელმა ჯაჭვი ისე, რომ მხოლოდ 3 რგოლის გაჭრა დასჭირდეს?



- 25.** ლევანმა კომპიუტერში 6 კუბი დახატა ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები. რამდენი კუბი უნდა დახატოს მან, რომ პირველ რიგში იყოს 7 კუბი?

- 26.** ბექას უნდა, ანის უყიდოს დონატი, მაგრამ მას არ ჰყოფნის 2 ლარი, ანის კი დონატის საყიდლად აკლდება 1 ლარი. თუ ისინი ერთად გადანწყვეტენ დონატის ყიდვას, მათ ისევ დააკლდებათ 1 ლარი. რა ლირს დონატი?

- 27.** შესაძლებელია თუ არა, 50-ლარიანი დავახურდაოთ 1-ლარიანი და 5-ლარიანი კუპიურებით ისე, რომ გამოვიყენოთ მხოლოდ 15 კუპიურა?

- 28.** შესაძლებელია თუ არა, ნრეზე დაწყობილ 16 კალათაში განვათავსოთ 55 ვაშლი ისე, რომ ნებისმიერ ორ მეზობელ კალათაში ვაშლების რაოდენობა 1-ით განსხვავდებოდეს?


- 29.** გაშიფრეთ რებუსი:

$$\begin{array}{r}
 \text{ა.} \quad \begin{array}{c} \text{B} \\ \text{AAAA} \\ + \text{AAAA} \\ \hline \text{BAAAA} \end{array} \\
 \text{ბ.} \quad \begin{array}{r} \text{DRAMA} \\ + \text{DRAMA} \\ \hline \text{TEATR} \end{array}
 \end{array}$$

- 30.** კოლოფში 23 გირი იყო: 1 გრ, 2 გრ, 3 გრ... 23 გრ. 21-გრამიანი გირი დაიკარგა. შეიძლება თუ არა, დანარჩენი გირები გავყოთ ორად ისე, ორივე ნაწილის მასა ტოლი იყოს?

- 31.** ერთმანეთის მიმდევრობით დგას 6 ჭიქა, 3 – სავსე და 3 – ცარიელი. როგორ მოვახერხოთ, რომ ჭიქები იდგეს მონაცვლეობით?

- 32.** კლასში 28 მოსწავლეა, რომელთაგან ნახევარზე მეტი ბიჭებია. დაასაბუთე, რომ რომელიმე მერხზე აუცილებლად ზის 2 ბიჭი, თუ კლასში სულ 14 მერხია.



# თავი 1

## ათოლადები




### შეისწავლი:

ათნილადებს, ათნილადების შედარებას, მოქმედებებს ათნილადებზე; გაეცნობი მართკუთხა პარალელეპიპედისა და კუბის მოცულობის გამოსათვლელ ფორმულებს.

### შეძლებ:

- მოქმედებების შესრულებას ათნილადებზე;
- ათნილადის ჩანერას ჩვეულებრივი წილადის სახით და, პირიქით, ჩვეულებრივი წილადის ჩანერას ათნილადის სახით.
- ათნილადების გამოსახვას საკოორდინატო სხივზე;
- მართკუთხა პარალელეპიპედის და კუბის ზედაპირის ფართობისა და მოცულობის გამოთვლას.

# 1. ათწილადი




დიაგრამაზე ნაჩვენებია, ადამიანის მასის რა ნაწილს შეადგენს ტვინი, კუნთი, სისხლი და ა.შ.  
დიაგრამის მიხედვით იპოვე, რამდენი კილოგრამი სისხლია შენს სხეულში? ძვალი?

**?** 1. ჩაწერე მაგიდის სიგრძე:

- ა) სანტიმეტრებით,
- ბ) დეციმეტრებით,
- გ) მეტრებით.

2. ჩაწერე საზამთროს მასა:

- ა) გრამებით;
- ბ) კილოგრამებით.



$2\frac{3}{10}$  და 2,3  
ერთი  
და ომავე  
რიცხვის  
ჩანაწერის  
ორი ფორმა

ნილადები, რომელთა მნიშვნელია  $10, 100, 1000 \dots 10^n$ , იწერება მნიშვნელის გარეშე – ათწილადის სახით. მაგალითად:

$$\frac{1}{10} = 0,1; \quad \frac{3}{10} = 0,3; \quad 1\frac{7}{100} = 1,07.$$

ჯერ წერენ მთელ ნაწილს, შემდეგ კი – წილადი ნაწილის მრიცხველს, მაგრამ წილადის მრიცხველს წერენ ისე, რომ შეიცავდეს იმდენ ციფრს, რამდენი ნულიც არის წილადის მნიშვნელში. მთელ ნაწილს და წილადის მრიცხველს ერთმანეთისაგან გამოყოფენ მძიმით.

$$3\frac{2}{10} = 3,2; \quad \frac{17}{100} = 0,17.$$


თუ მრიცხველში ციფრების რაოდენობა ნაკლებია მნიშვნელში ნულების რაოდენობაზე, მაშინ მძიმესა და მრიცხველის ციფრებს შორის წერენ იმდენ ნულს, რამდენიც აკლია. მაგალითად,

$$1\frac{3}{100} = 1,03; \quad 2\frac{7}{1000} = 2,007.$$

მაგალითად,

ათწილადი	იკითხება:	
$\frac{3}{10} = 0,3$	ნული მთელი და სამი მეათედი	
$\frac{5}{100} = 0,05$	ნული მთელი და ხუთი მეასედი	
$\frac{27}{100} = 0,27$	ნული მთელი და ოცდაშვიდი მეასედი	წესიერი ათწილადი
$\frac{7}{1000} = 0,007$	ნული მთელი და შვიდი მეათასედი	
$\frac{271}{1000} = 0,271$	ნული მთელი და ორას სამოცდა- თერთმეტი მეათასედი	
$3\frac{3}{10} = 3,3$	სამი მთელი და სამი მეათედი	შერეული ათწილადი

5, 27



ვიცით, რომ ნატურალური რიცხვის ჩანერისას მნიშვნელოვანია, რა პოზიცია, ანუ რომელი ადგილი, უჭირავს ციფრს. თან, ყოველი თანრიგის ერთეული 10-ჯერ მეტია წინა, უფრო დაბალი თანრიგის ერთეულზე. ისევე, როგორც ნატურალურ რიცხვებში, ათწილადშიც მძიმის შემდეგ ციფრთა მნიშვნელობები დამოკიდებულია მათ პოზიციაზე (ადგილზე).


განვიხილოთ რიცხვი 25,122.

$$\begin{aligned} 25,122 &= 25\frac{122}{1000} = 20 + 5 + \frac{100}{1000} + \frac{20}{1000} + \frac{2}{1000} = \\ &= 20 + 5 + \frac{1}{10} + \frac{2}{100} + \frac{2}{1000} = 20 + 5 + 0,1 + 0,02 + 0,002. \end{aligned}$$

მძიმის შემდეგ პირველი ციფრის – 1-ის მნიშვნელობა ერთი მეათედია, მეორე ციფრის – 2-ის მნიშვნელობა – ორი მეასედი, მესამე ციფრისა – ორი მეათასედი. ამის გამო მძიმის მარჯვნივ პირველ თანრიგს მეათედების თანრიგი ეწოდება. მეორეს – მეასედების თანრიგი, მესამეს – მეათასედების თანრიგი და ა.შ.



3. როგორ შეიცვლება ციფრის მნიშვნელობა, თუ მას ათწილადში ერთი თანრიგით მარჯვნივ (მარცხნივ) გადავაადგილებთ?



1,3

ათწილადში წილადი ნაწილის ციფრებს ათწილადი ნიშნები ეწოდება.

გავიხსენოთ წილადის ძირითადი თვისება:

$$\begin{aligned} \frac{100}{1000} &= \frac{1}{10} \\ \frac{20}{1000} &= \frac{2}{100} \end{aligned}$$

ციფრის ერთი თანრიგით მარჯვნივ გადაადგილებით მისი მნიშვნელობა 10-ჯერ მცირდება.

მართლაც, ერთი ერთეული 10-ჯერ მეტია  $\frac{1}{10}$ -ზე,  $\frac{1}{10}$  10-ჯერ მეტია  $\frac{1}{100}$ -ზე და ა.შ.

რიცხვი	რიცხვის მთელი ნაწილი								რიცხვის ათწილადი ნაწილი			
	7	6	5	4	3	2	1	,	1	2	3	4
	სამაცნებაობა სამაცნება	სამაცნება	სამაცნება	სამაცნება	სამაცნება							
5,02								5	,	0	2	
305,201					3	0	5	,	2	0	1	
3005,1007				3	0	0	5	,	1	0	0	7
1307120,001	1	3	0	7	1	2	0	,	0	0	1	

4. რის ტოლია ცხრილში მოცემულ რიცხვებში ციფრი 1-ის, ციფრი 2-ის, ციფრი 5-ის მნიშვნელობა?

ჩანაწერს  $25,123 = 20 + 5 + 0,1 + 0,02 + 0,003$  ეწოდება  $25,123$ -ის გაშლა სათანრიგო შესაკრებების ჯამის სახით.

5. დაშალე 0,333 სათანრიგო შესაკრებებად.  
6. პასუხი გაეცი პარაგრაფის დასაწყისში მოცემულ ამოცანებს.

შეავსე გამოტოვებული ადგილები:

- $\frac{27}{100} = 0, ? ;$
- $2\frac{3}{1000} = 2, ? ;$
- $0,024 = \frac{?}{?} + \frac{?}{?} ;$
- ათწილადში მძიმის მარჯვნივ პირველ ადგილზე იწერება ?, მეორეზე ?, მესამეზე ? ;
- ათწილადი არის წილადი, რომლის მნიშვნელია ? ;
- ათწილადში მეასედების მარჯვნივ ? თანრიგია.



## სავარჯიშოები:

1. როგორ ნილადს ეწოდება ათწილადი?
2. რა ნაწილებს მივიღებთ ერთეულის გაყოფით  $10-ზე$ ?  $100-ზე$ ?  $1000-ზე$ ?
3. როცხვის რა ნაწილებია მძიმის მარცხნივ? მარჯვნივ?
4. რა ეწოდება მეათედების თანრიგის წინა თანრიგს? მომდევნო თანრიგს?
5. ერთ ერთეულში რამდენი:
  - ა. მეათედია?
  - ბ. მეასედია?
  - გ. მეათასედია?
6. რამდენი ერთეული და რამდენი მეათედია  $15$  მეათედი?  
 $17$  მეათედი?  $22$  მეათედი?  $75$  მეათედი?
7. რამდენი მეათედი და რამდენი მეასედია  $118$  მეასედი?  
 $111$  მეასედი?  $225$  მეასედი?
8. ჩანერე ათწილადის სახით და მიუთითე, რამდენ ათწილად ნიშანს შეიცავს იგი:
  - ა.
  - ბ.
  - გ.
  - დ.

--

--


--

--
9. ჩანერე ათწილადის სახით:
  - ა. ერთი მთელი და ორი მეათედი;
  - ბ.  $17$  მეათიათასედი;
  - გ. თერთმეტი მთელი ხუთი მეასედი;
  - დ. ხუთი მთელი თერთმეტი მეათასედი.
10. ჩანერე ათწილადის სახით და წაიკითხე მიღებული ჩანაწერი:
  - ა.  $2\frac{3}{10}, 1\frac{1}{10}, 8\frac{7}{10}, \frac{4}{10}, \frac{13}{10};$
  - ბ.  $3\frac{21}{100}, 15\frac{17}{100}, 2\frac{1}{100}, \frac{7}{100}, \frac{45}{100};$
  - გ.  $8\frac{113}{1000}, 4\frac{225}{1000}, 11\frac{305}{1000}, \frac{31}{1000}, \frac{4}{1000};$
  - დ.  $3\frac{221}{10000}, \frac{44}{10000}, \frac{5}{10000}, \frac{12}{10000}, \frac{333}{10000}.$
11. წაიკითხე რიცხვები და დაასახელე ყველა თანრიგის ციფრები მარცხნიდან მარჯვნივ:  
 $0,17; 0,005; 3,225; 0,737; 0,0001; 3,50102; 43,137.$
12. ჩანერე ათწილადის სახით:

ნიმუში:  $\frac{24}{60} = \frac{4 \cdot 6}{10 \cdot 6} = \frac{4}{10} = 0,4$

- ა.  $\frac{12}{30}, \frac{42}{60}, \frac{21}{70}, \frac{36}{90}, \frac{24}{120};$
- ბ.  $\frac{48}{120}, \frac{51}{300}, \frac{15}{50}, \frac{15}{500}.$

### რიცხვითი კადალი



### ნიმუში



# 1. ათწილადი

**13.** ჩანერე ათწილადის სახით:

$$\text{ნიმუში: } \frac{3}{4} = \frac{3 \cdot 25}{4 \cdot 25} = \frac{75}{100} = 0,75$$

ა.  $\frac{1}{2}, \frac{3}{5}, \frac{4}{5}, \frac{3}{4}, \frac{7}{25};$   
 ბ.  $\frac{5}{2}, \frac{9}{5}, \frac{13}{4}, \frac{27}{25}, \frac{67}{50};$   
 გ.  $\frac{21}{20}, \frac{37}{20}, \frac{13}{50}, \frac{67}{50}, \frac{59}{500}.$

დ.  $\frac{3}{20}, \frac{7}{20}, \frac{9}{50}, \frac{11}{200}, \frac{49}{500};$   
 ე.  $\frac{21}{20}, \frac{37}{20}, \frac{13}{500}, \frac{67}{50}, \frac{59}{500}.$

**14.** ა. დეციმეტრის რა ნაწილია სანტიმეტრი? მილიმეტრი?

- ბ. მეტრის რა ნაწილია დეციმეტრი? სანტიმეტრი? მილიმეტრი?  
 გ. კილოგრამის რა ნაწილია გრამი?  
 დ. ტონის რა ნაწილია კილოგრამი? გრამი?

**15.** შეავსე ცხრილი რვეულში:

$$1\text{გ} = 1000\text{მგ}$$

$$1\text{მ} = 10\text{დმ}$$

$$1\text{დმ} = 10\text{სმ}$$

$$1\text{სმ} = 10\text{მმ}$$

მმ	სმ	დმ	მ	კგ
100	0,1სმ			
			0,08 მ	
		5დმ		

გ	კგ	ც	ტ
1გ			
15გ			
225გ			

**16.** შეავსე რვეულში გამოტოვებული ადგილები (რიცხვები ჩანერე ათწილადებით):

- ა.  $1\text{კმ}^2 = ? \text{ ჰა};$       გ.  $1\text{სმ}^2 = ? \text{ მ}^2;$   
 ბ.  $1\text{მ}^2 = ? \text{ კმ}^2;$       დ.  $1\text{ დმ}^2 = ? \text{ მ}^2.$

**17.** ჩანერე ათწილადის სახით და გამოსახე:

- ა. მეტრებით: 3 დმ; 21 დმ; 28 სმ.  
 ბ. კილომეტრებით: 30 მ; 7 დმ; 125 სმ.  
 გ. ტონებით: 15 კგ; 125 კგ; 14 კგ და 125 გრ.  
 დ. კვადრატული მეტრებით: 15 სმ<sup>2</sup>; 127 სმ<sup>2</sup>; 10 სმ<sup>2</sup>.  
 ე. ლარებით: 137 თეთრი; 25 თეთრი; 87 თეთრი; 123 თეთრი.

**18.** წაიკითხე ათწილადი და ჩანერე ჩვეულებრივი წილადის ან შერეული რიცხვის სახით:  
 $0,1; 0,7; 5,008; 15,03; 10,127; 0,05; 5,007.$

**19.** უპასუხე შეკითხვებს:

- ა. რამდენ ათეულს შეიცავს რიცხვი: 217; 304; 37; 1024?  
 ბ. რამდენ მეტაზღვას, მეტაზღვას შეიცავს რიცხვი: 2,75; 3,17;  
 15,125; 137,15; 13,013; 11,001?  
 გ. რამდენ ერთეულს შეიცავს მოცემული რიცხვის თითოეული  
 თანრიგი: 15,125; 11,15; 54,67; 0,156?

**20.** ეკასა და ქეთევანის სახლებს შორის მანძილია 1,26 კმ, რამდენ წუთში მივა ეკა ქეთევანთან, თუ ის 70 მ/წთ სიჩქარით  
 მოძრაობს?

**21.** შენი და შენი ოჯახის წევრების სიმაღლე გამოსახე მეტრებით  
 და ჩანერე რვეულში ათწილადის სახით.

**22.** შენი საკლასო ოთახის სიგრძე და სიგანე გამოსახე მეტრებით  
 და ჩანერე რვეულში ათწილადის სახით.



**23.** შემდეგი ტოლობებიდან ამოარჩიე, რომელია მცდარი და ასენი, რატომ?

- |                                        |                                        |
|----------------------------------------|----------------------------------------|
| ა. $17\text{სმ}=1,7\text{დმ}$ ;        | დ. $237\text{კგ}=2,37\text{ტ}$ ;       |
| ბ. $137\text{სმ}=1,37\text{დმ}$ ;      | ე. $2025\text{კმ}^2=20,25\text{ჰა}$ ;  |
| გ. $2\text{ სთ 25 წთ}=2,25\text{სთ}$ ; | ვ. $1\text{ სთ 30 წთ}=1,3\text{ სთ}$ . |

**24.** გამოთვალე ჯამი და პასუხი ჩანს რვეულში ათწილადის სახით:

- |                                                     |                                                    |
|-----------------------------------------------------|----------------------------------------------------|
| ა. $12+\frac{7}{10}+\frac{8}{100}+\frac{9}{1000}$ ; | გ. $\frac{11}{100}+\frac{23}{1000}+\frac{9}{10}$ ; |
| ბ. $5+\frac{3}{10}+\frac{7}{100}+\frac{21}{1000}$ ; | დ. $\frac{7}{10}+\frac{7}{1000}$ .                 |

**25.** გაშალე რიცხვები სათანრიგო შესაკრებებად:

- |               |              |
|---------------|--------------|
| ა. 32,32 ;    | ე. 97,876 ;  |
| ბ. 13,047 ;   | ვ. 0,4569 ;  |
| გ. 1,727 ;    | ზ. 11,0031 ; |
| დ. 101,3214 ; | თ. 4,047.    |

**26.** 3 კგ შოკოლადი თანაბრად გაანაწილეს 30 პაკეტში,

1 კგ 55 გ კარამელი კი – 5 პაკეტში. რომელი პაკეტია უფრო მძიმე?

**27.** კალკულატორში აკრიფე რიცხვები: 27, 51; 11, 14; 101, 724; 0,146; 17, 251.


**28.** კალკულატორზე აკრიფე ნებისმიერი ათწილადი. მიაწოდე გვერდით მჯდომს და სთხოვე, წაიკითხოს. შეამოწმე, სწორად წაიკითხა თუ არა მან შენ მიერ აკრეფილი რიცხვი?



**29\***. რა ნიშანი უნდა დავსვათ გვერდიგვერდ დანერილ 2-სა და 3-ს შორის, რომ მივიღოთ 2-ზე მეტი და 3-ზე ნაკლები რიცხვი?

გამორჩევა

**30.** ბაქტერიის უჯრედი ყოველ 20 წთ-ში იყოფა ორ უჯრედად. ბაქტერიის რამდენი უჯრედი იქნება 4 საათის შემდეგ, თუ თავდაპირველად ერთი უჯრედი იყო?



**31.** ჭიქაში ჩადებული ბაქტერია ყოველ წუთში იყოფა ორ ბაქტერიად. თუ ჭიქაში მოვათავსებთ 1 ბაქტერიას, ჭიქა ბაქტერიებით გაივსება ნახევარ საათში. რამდენ ხანში გაივსება ჭიქა, თუ მასში მოვათავსებთ ორ ბაქტერიას?

**32.** ორი პუნქტიდან, რომელთა შორის მანძილი 10 კმ 500 მ-ია, ერთდროულად ერთი და იმავე მიმართულებით ორი ტურისტი გამოვიდა. ერთი მოძრაობდა ფეხით – 6 კმ/სთ სიჩქარით, ხოლო მეორე – ავტომობილით. იპოვე ავტომობილის სიჩქარე, თუ ის ფეხით მოსიარულეს 15 წთ-ში დაეწია.